საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 1 20 00326937

02/04/2020

სამართლის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2020 წლის 30 მარტის №321897 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-7 და მე-10 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „დ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სამართლის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №224 ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 01 ივნისიდან.
4. დაევალოს ცენტრის სტრატეგიული კომუნიკაციისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციის სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

5. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ